

პირა, 6 ნოემბერი 1916 წ.

სიმღერების ადგინი:
თფილის, ოლქას ქუჩა, № 6.


ვასი 15 კაპ.

სიმღერები აზოვობაზე

იუმღერისგ.
უურნალი.

№ 45

ვ 9 1




„ძმაო მანასე! გზა გაგვყავს ასე“...

(მუშის წერილიდან).

მუშის სიმღერა

მთის ორწოხში გზა გამყავდა
წერაქვს ჰქონდა ჩიკი-ჩიკი...
ზურგზე მეჯდა მე უბედურს:
ათის თავი,
„ტაბელჩიკი“,
იმას ზემოთ
გზის „მასტერი“,
იმას ზემოთ
„ფოდრაჩიკი“,
იმას ზემოთ
„ტეხნიკოსი“,
იმას ზემოთ
„რიადჩიკი“,
იმას ზემოთ
ინჯინერი...
მეძახიან ჩიკი-ჩიკი...
როგორ ვზიდო ალა ვიცი
ეს ეშმაკის დანაჩიკი
ინჯინერი,
გზის მასტერი,
ტაბელჩიკი,
ფოდრაჩიკი...
მივჩანჩალებ კოჭლ ბატსავით,
ჩიკი-ჩიკი, ჩიკი-ჩიკი,
ჩემი ბარგი რათ გამხდარა
ყველა ჯურის
„კარმანშიკი“?...

კოდო.



მომაკვლინებელი ღანგაული

„პარასკევებს, 16 ოქტომბერს, სალამის
11 ს ათხა და 27 წუთა და 17 წამზე
მოულოდნელათ გარდაცვალა ჩვენი
ქვეყნის სახიძალულო ძე და თანაც სია-
მაყე მოელი საქართველოსი და სრუ-
ლიად მაჟრისა, ცნობილი მოღვაწე
სოლიომინ უშაბაბის ძე ზუს გილიძე.
მასწ. ცურცუკი სუნტრუცაძე“.

აი სიტყვები, რომელმაც შარშან ამ დროს ძი-
რიანათ შეარყია მოელი რეალურ მოსახლეობისა და
ისტორიული საქართველო, აი სიტყვები, რომელ-
მაც დაუსვა ჩვენს მრავალ ტანჯულ ხალხს ყოფნა
არყოფნის საკითხი.

არ გვეგულება ქართველი კაცი, რომელსაც
მწვავეთ არ განეცადოს დიდებული მგოსნის უდრიო
დაკარგვით (ის გარდაიცვლა 87 წლისა) გამოწვეუ-
ლი მწუხარების სიმწვავე. არ გვეგულება ქართველი,
განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა და კლასისა და
მიმართულებისა, რომელსაც შარშან ამ დროს გულს
ლახტად არ დასობოდეს რკინის მავთულით გადმო-
ცემული საბედისწერო სიტყვები ქალბატონ ცუცუ-
კია სუნტრუცაძისა. არ გვეგულება ქართველი გა-
ნურჩევლად წლოვანიბისა და ქონებრივი მდგომა-
რეობისა, რომელსაც ზღვა ცრემლი არ დაეღვაროს
შარშან ამ დროს, ეინადან შეუძლებელია ქართვე-
ლი, რომელშიაც არ იჯდეს თუნდ $\frac{1}{3}$ ნეატრსენე-
ბული მგოსნის სოლომონ ზურგიერიძისა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქტორა მოუთმენლად
მოელოდა წლის თავს ჩვენი საუკეთესო თანამშრომ-
ლის განსვენისა, რათა ჯეროვანი პატივი ეცა დაუ-
ვიწყორი მგოსნის სოლომონისათვის. ამ მზნით ბნებ
ეშმაკმა იღნისის პირველ რიცხვებშივე დაიწყო მო-
ლაპარაკება განსვენებულის კირისუფლებთან დღე-
სასწაულის ჯეროვანათ ჩატარებისათვის. აღიძრა
შუამდგომლობა სხვა და სხვა ქართულ კულტურულ
და არა კულტურულ დაწესებულებათა წინაშე დღე-
სასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. ეთხოვა ქარ-
თველ ზოსნებს და საზოგადო მოღვაწეთ, რომელ-
ნიც თავის დღევანდელ პოპულიარობას ერთავად

ნეტარხესნებულ სოლომონს უნდა უმადლიდენ, ვინაიდან მის სკოლაში აღიზარდენ, რომ გაიტანონ ფართე მასაში იდეა დღესასწაულისა; დასასრულ ეთხოვა პატივცემულ შაშქოვსკის „ნარიალი“ ერთი ან ორი ვაკონისა, სოფ. სოკოთუბნიდან განსვენებულის ჭირისუფალთა ჩამოსაყანათ, ხოლო ბ-ნ მ. ჯაბარს რამოდენიმე ტომარა ფქვილი შორეულ სტუმართა გამოსაკვებათ.

ერთის სიტყვით ყოველგვარი მზადება წინასწარ იყო დაწყებული და დაპირებაც ყოველი მხრიდან მოგვდიოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა...

ვაი სირცხვილო!!!

როცა საქმე საქმეზე მიდგა დაპირებამ თქვენი ჭირი წაიღი. სოფ: სოკოთუბნისთვის დანიშნული ვაგონი კოპიტნარში დღმინდა, ხოლო ვაგონი ძეირფას მემკვიდრეთა მაგიერ ტყემლის ტყლაპით დატვირთული.

ქართველები! გესმით ეს საარაკო ამბავი! სოლომონის მემკვიდრეთა მაგიერ ტყემლის ტყლაპი! ამით ერთი წიხლი კიდევ უთავაზეს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარებას!!

ამგვარათ, ბატონებო, წლისთვი, ჩვენი დაუკიცარი მგოსნისა 17 ოქტომბრის ნაცელად მოხდება 18 ნოემბრის. ჩვენ სრული იმედი გვექს ქართველი საზოგადოება ჯეროვან პატივს სცემს თავის სიამაყესა და უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძის ხსოვნას.

„ცოცხალი კაცი თუ მოკვდება და დაუცემა, რასაკვირებელია, მაშინ სჭირია მ.ს პატივისცემა!“

ი უკვდავი სიტყვები უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისა.

ქართველო ერო! უურად იდე ის!!

„ეშჩაკის მათრახისაც რედაქცია.



ჭავათი პაცი

ნათქვამია, ჭევიანი კაცი აღდგომასაც ჭევიანია. ი თელი ღლონტი: აღდგომას კი არ ვიცით რა ჭეუაზე იქნება, მარა დღეს იმ ჭეუაზეა, რომ

ქოვერატივებიდან დასელები გავდევნოთ. რათამ, იკითხავთ. რათა და იმიტომ რომ იქ დასელები მუშაობენ; ვინც შიგ მუშაობს, მხოლოდ იმისი განდევნა შეიძლება, თვარა მაგ. თითონ თელი შედევნეთ თუ საღმე შეიდენება, თვარა გადენით არსაიდან. მას ამაყათ შეუძლია სთქას: მთელი ჭვეუანი რომ იწოდეს, (ქოვერაცია რა სახენგბელია) ჩემი არა დაიწვისრაო.

ჭევიან კაცს ცელაფერი ჭევიანურათ ესმის: იეტონომია, იეტოკეფალია, უცხო კაპიტალი, ერობა და ბოლოს ქოვერაცია. პირდაპირ საკვირელია, საიდან გაუკეთა თედომ ქოვერაციას ასეთი შეუდარებელი ანალიზი? საიდან შეიტყო ასე შეუცდომლათ, რომ ქოვერაციაში დასელები არიან? ჩვენ ვიცით, რომ ერთი ფრიად პატივ ცემული და დიალ პატივსაცემი დაწესებულება, რომელთანაც თედოს ჯერ-ჯერობით სერთო არა აქვს რა, გაფაციცებით მუშაობს და გულ მოდევნით იკვლევს სწორეთ ამ საკითხს: ვინ ხელშძლვან ელობს ქოვერატივებს. მუშა-იბა ჯერ არ დასრულებულა, — ალბათ დიდ დროს მიათხოეს, — და არც არავინ უწყის, როდის გამოქვეუნდება ეს ნამუშევარი, ან რა ხასიათის იქნება მისი შედეგები. თედომ კი, ერთათ ერთმა კაცმა, დაასწრო მთელ დაწესებულებას, მარტოკა იდვა თავს მთელი კითხვის სიძნელე და გამოიყვანა კიდეც უცილებელი დასკვნა: დასელები არიან ქოვერატივებში, დასელები არიან ჭევინის დამლუპავი, ჰკა დასელებსო! მოდი და ნუ გავიკიდებათ: ერთმა კაცმა, ერთათ-ერთმა, ამდენი ჭეუა გამოიჩინოს! შარა დაილოცის ლვოის განვება: თურმე ვისაც ჭეუას მისცემს, ორივე ხელებით მისცემს.

რატომ ნათლობაში არავინ იკითხავს, ბავშვი როდის ნათლაცოთო იმიტომ, რომ სულელმაც კი იცის, რომ თუ ბავშვი არ მოენათლავთ, მას საქეიფოთ არ დააჯდენდენ. ეს ხომ ასეა, მარა მას შეძეგმა, რაც თედომ ქოვერაცია მონათლა და გადანათლა კიდევკი. რაღა საჭიროა, რომ ვისგანაც ჯერ არს კვლავ იკრიბება სტატისტიკური ცნობები. კვლავ სწარმოებს გამოკვლევა, კვლავ დიდი სამზადისა ნათლობისთვის? ვინდა ვინდა აანთებს სანთელს, როცა მზე ამოსულია, ვინდა ექებს მოსარჩენ წამალს დამარჩული კაცისოვას? უსამართლობაა ასეთი მოცყრობა ლრმა ნააზრისა, შრომის უაზრო გაფლანგვაა, უპრინციპიობაა.

ჭკვიან მოქმედს, ჭკვიანი გამგონე უნდაო. თუ დღის კი ამ მხრივ ბედი არა სწყალობს. გამგონე მას არც ჭკვიანი ყოლია როდისმე და არც სულ- ელი. განა ცოტა ჭკვა აქვს თედოს დაყჭული ა- ტონომიაზე, რეალურ მოსახლეობაზე, უცხო კაპი- ტალზე, ერობაზე, შარა ვინ იყო გამგონე? რომელ თავეამეტებულ ფედერალისტს დამისახელებთ, რომ თედოს რომელიმე წერილი ბოლომდე წაეკითხოს? ასოთ ამწყობიც კი მის სტატიას ასოებთ აწყობს და არა სიტუაციათ, თითქო ეშინიან სიტუაციიდან აზრი არ გამოხტეს და თავში არ შემივიდესო. ცენ- ტორიც კი გადაავლებს თავის მოწყალე თვალს თე- დოს სტატიას, — ნათელი აზრის მასაც ძალიან ეში-

ნიან; სამაგიეროთ თედოს ნაწერი უკლებლით იბე- ჭდება. მარა რაღაც ისეთი დაბეჭდია, თუ თედოს მეტი არავინ წაიკითხავს?

ნუ თუ ჭკვიან თედოს ამ უკანასკნელ სპეცი- ალურ გამოკვლევასაც ასეთი ბედი ეწვევა? ერთი მხრით ახიც კია მასზე. ვინ ათავსებს ასეთ სპეცია- ლურ ნაწარმოებს გაზეთის ფურცლებზე? გაუგზავ- ნოს იგი შესაუერ სპეციალურ დაწესებულებას: იქ უეჭველათ გამოუჩინდება მას წამკითხავიც და გამ- კითხავიც, უეჭველათ დააფასებდნ მას ჯეროვანათ და შემდეგშიაც არ მოაკლებენ მის ავტორს იმ ყუ- რადღებას, რასაც ის სავსებით ღირსია.

ფოცხვერი.




მხატვრობა ა. გილოზის

შურისძიება სტრიჩესი

(თარგმანი ესე ეძღვნების ეშმაკისაგან ქართველ ნოქრებს, ცხოვრებაში სახელმძღვანელოთ).

ისიდორე პლანკეს, პატარა საწვრიმილო დუქნის ნოქარს, დაუძლეველი მისწრაფება აღმოაჩინდა ლიტერატურისადმი. სწორეთ ამ მოუღრეკელმა ეინზა ლიტერატურისადმი ი- ძულა პლანკეს მამა, პატარონი საწვრიმილო დუქნისა, შეილი სოფლიდან პარიზში გაეგზავნა.



— აჰააა, უნ აქ კომედიებსა სჩერევე? დაიღრიალა მამამ. როცა შეილს პირდაპირ დანაშაულიში საწერ მაგიდასთან მოასწრო. — უნ არცხვენ, ლაწირაკუ ჩემს პატიოსან სახელის ხვალევ პარიზისაკენ გიქრავ თავს; შეიძლება იქ მოხვიდე გონს და გადაეჩიო ამ უმსგავსო ჩვეულება!

ნახევარი წელი იმსახურა ისიდორემ პარიზელ ვაჭართან. ის აკეირდებოდა თავისს მახ-

ლობლებს, სწავლობდა მათ სისუსტესა და ნაკლელევანებებს; თავის რვეულში იწერდა და ინიშნავდა ყოველივე ლირს შესანიშნავს.

მოსამსახურე გოგოებ, მზარეულებს და ღაბალ მოხელეებს ძლიერ უყვარდათ ისიდორესთან მასლაათი. ყველა იქებდა ვაჭართან ახალგაზრდა ისიდორეს, მის გონება მახვილობასა და საქმის უნარს.

სავაჭროს პატრონს, ბ-ნ კარნიშუას, კიდევაც შეშურდა ისიდორეს ასეთი სახლი და დიდება.



კარნიშუას მეულლე კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა, რითაც უფრო ამწვავებდა ქმრის ნოჭართან დამოკიდებულებას. ქალბატონმა პირველ-ყოვლისა მოინდომა ახალგაზრდა ნოქრის გულის მოგება, მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაუარა. საქმარისია დახედოთ უტყუარ გამოხატულებას აღნიშნული ქალბატონისას ამ ჩვენს სურათზე, რომ თქვენთვის აშკარა შეიქმნეს წმინდა და სპერტაკი დამოკიდებულება ახალგაზრდა ნოქრისა ბ-ნ კარნიშუას მეულლისადმი. მაგრამ ეს არა კმაროდა ბ-ნ კარნიშუასათვის, იგი მიუხედავათ ამ აშკარა საბუთისა ფარულ ეჭვების ცეცხლზე იდაგებოდა.

ისიდორესაც კარგათ ესმოდა, რომ ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივი ვერ დარჩებოდა. ის მართალიც იყო.

ერთ მშვენიერ ლილას, რაღაცაზე გულ მოსულმა მოვაჭრემ ნოქარი აფგილიდან დაიოხოვა.



— ძალიან კარგი, ბატონო, მე წავალ,— მიუგო მომავალმა დრამატურგმა.

ამით დასრულდა მათი უთანხმოება.

გაიგო ეს ამბავი თუ არა, ქალბატონი კარნიშუა ერთხელ კიდევ შეეცადა ჯიუტი ნოქრის გულის მონადირებას.

— ერთად-ერთი სიტყვა მითხარით, — თაფლის ენით წასჩურჩულა ქალბატონმა — და მე მოვაწყობ, რომ თქვენ ისევ აქ დარჩეთ.

რა სიტყვა უთხრა მას ისიდორეგმ?


ამ საიდუმლოს შთამომავლობა ვერ გაიგებს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ამ სიტყვის შემდეგ ქ-ნი კარნიბუა დაუძინებელი მტერი შეიქნა მისი.

უგემურისა და ციფი საუზის შემდეგ, (ციფის ყოველ მხრივ) ისიდორე თავის საქმეს დაუბრუნდა — გადაწყვეტილი იყო, ის მეორე დილით დასთხოვოდა სამსახურს.

უცებ კარტეში ვინმე ბ-ნი გერისონი გამოჩნდა. კარნიბუამ ქველ ვალში მას პატარა ბოჭკით უვარებისი კონიაკი შეატყუა და როცა გერისონმა ვაჭრის ოინი გაიგო, წამოვიდა „ანგარიშის გასასწორებლათ“.

ის უკვე რამოდენიმეჯერ იყო დუქანში ამ კეთილშობილური მიზნით, მაგრამ ვერასოდეს სახლში ვერ მოასწრო დუქნის პატრონებს.

ყოველ ახ-ლ მოსვლაზე მისი გულის წყრომა ღვივდებოდა, სულ ცოტა რომა ესთქვათ ერთი გრადუსით მაინც — უკანასკნელით მოსვლის დროს გარისონმა უკვე აღუთქვა რამოდენიმე ნეკენბის ჩატტერევა ბატონ კარნიბუას, ან მის მეულეს. დღეს კი, თუ ხელში იგდო შეიძლება წუთი სოფელსაც გამოასალმოს ორივე ცოლ-ქმარი. ცოლ-ქმარ კარნიბუას სამართლიანათ შეეშინდათ გერისონის შეხვედრისა და დანახვისთანავე ფიცხლავ დაზგას კვეშ შეძრენ. ძლივ-ძლიობით მოასწრეს ნოქარის გაფრთხილება: — ისიდორე! უთხარი რომ ჩვენ სახლში არა ვართ.



— ბ-ნი კარნიბუა სახლშია? — იკითხა გერისონმა.

— არ გახლავთ, ბატონო.

— მეც ეგრე ვიცოდი! რა გაეწყობა, კადევ მოვალ, მაგრამ გადაეცით თქვენს ბატონს, რომ თითოულ ჩემს მოსვლაზე ემატება სარგებელი ძველს ვალს. როცა იქნება ხომ მოვიმ-წყვდევ სახლში და მაშინ!..


გერისონმა თავისი სიტყვები ჯოხის საგულისხმიერო მოქნევით დასრულდა.

ისიდორეს თავში მოულოდნელათ დაიბადა უცნაური გეგმა უმაღურ ბატონების შურის ძიებისა.

— ბ-ნი ვარნიბუა, მართალია, გარეთ გამოვიდა, მაგრამ მალე დაბრუნდება, — მიუგო ნოქარმა გერისონს. — მართლა? განცვიფრებით შეეკითხა სტუმარი.

— ბატონმა მიბრძანა თქვენ უთუოდ მოგაცდევინოთ მის დაბრუნდებამდე. ინებეთ, აი

აქ დაბრძანდით.—ისიდორემ დაუდგა სკამი ბატონ გერისონს სწორეთ დაზგის პირდაპირ.



— მეჩერება, არ შემიძლია ამდენი ლოდინი... ბუზლუნებდა გერისონი.

ბატონი სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდება.

— კარგი, დავიცდი.

ცოლ-ქმარ კარნიბუას შიშით ენა ჩაუვარდათ. დაზგის ქვეშ ვიწროობა და მოუხერხებელი საჯლომი იყო. მაგრამ სხვა არ იყო, ძალა უნებურათ უნდა მოეთმინათ. ისიდორე, თითქო აქ არაფერიაო, ნავარდობდა დუქანში აქეთ-იქით და იგონებდა საშუალებას, თუ როგორ გაეხანვრძლივებია წამება თავისი ბატონებისა.

ხუთი წუთის შემდეგ გარისონს მოითმინდება დაეკარგა. ის წამოლგა და კარებრსაკენ გაემართა. დაზგის ქვეშიდნ გულდამშვიდებული ამოახვრა მოისმა.

— მოითმინეთ, ღვთის გულისათვის მოითმინეთ, ბატონს ძლიერ უნდოდა თქვენი ნახვა—შეეველრა ისიდორე სტუმარს. შე გამოაძღვის, როცა გაიგებს თქვენ აქა ბრძანდებოდით და ვერ კი მოვახერხე თქვენი შეტერება.

— საზიზდარი! წაიბუტბუტა ვიღაცამ დაზგის ქვეშიდან.

გერისონი კვლავ ყოყმანობდა.

— თქვენის აზრით ის დაბრუნებს უკან თავის კონიაქს და მე გადამიხდის ჩემს ვალს?

— რამდენათაც მახსოვეს,—სთქვა ისიდორემ—ჩემი ბატონი აპირებს გადაგიხადგა ყველაფერი რაც გერგებათ.

დაზგა შეინძრა.

გერისონი ისევ ჩამოჯდა. ისიდორემ გადასწყვიტა მისი მუსაიუით გართობა.

— უთუოდ უნდა დაუცადოთ, თუ ჩემს ბატონს მართლაც მართებს თქვენი რამე...

— მე ვაჩვენებ ჰმართებს მას ჩემი თუ არა!—მუქარით წარმოსთქვა გერისონმა. და ბრაზ მორულმა დაზგას მუშტი დაპურა.

— აქაური საქმეები ისე აწეშილ ჩაბნეულია, ბატონო, რომე შმაკიც კი ფეხს წაიტეხს, შენიშნა ისიდორემ.

— უკაცრავად! მე ვერ იმიბნევენ ანგარიშს. მე ვაჩვენებ მათ თამაშას.

— რომ იცოდეთ, ბ-ნო, რა ძნელია ისეთ ტუტულთან სამსახური, როგორიც ეს კარნიბუაა,—წარმოსთქვა ისიდორემ—რასაკვირელია ცოლიც ბევრით არ ჩამორჩება ლირსეულ მეულლეს!


— მე ქ-ნი კარნიბუა მხოლოდ რამოდენიმეჯერ მინახავს და ისიც ერთი თვალის მოკვრით—წარმოსთქვა გერისონმა.

— წარმოიდგინეთ ხომ ასეთი ჯოჯოა და ისიც...


— ნუ თუ?..

გერისონს გაეცინა, მაგრამ მყისვე განცვიფრებული შეტერდა.

- დაზღა შეინძრა და ნაესავით ქანაობა დაიწყო. ისიდორეს სიტუვებისაგან გაბრაზებული ქმარი დაზღის ქვეშვე შეუდგა ცოლთან ანგარიშის გასწორებას.
- საოცარია, დაზღა ინძრება — წარმოსთქვა განცვიფრებულმა გერისონმა.
- ეგ იმისგან წარმოსდგება ბატონო, რომ ზედა სართულში ამის პირდაპირ დადიან,
- დაამშვიდა სტუმარი ნოქარმა, რათა განეგრძო წამება დაზღის ქვეშ მობინადრეთა.
- მაში თქვენ ამბობთ, რომ ქ-ნი კარნიბუა...
- დიახ, ძლიერ საეჭვო ყოფა-ქვეის პიროვნებაა, მაგრამ არც ქმარი აკლებს ხელს.
- ჩინებული მეუღლენი ყოფილან!
- შეხედეთ, დაზღა ისევ აცეკვდა! — შესძინა ისიდორემ.



- როგორც ეტყობა ზემო სართულში ძლიერ ბუქნაობენ, — შენიშნა გერისონმა.
- ისიდორეს სიტუვებისაგან ბრაზ მორეული ქალბარონი კარნიბუა ჯავრს იყრიდა თავის ქმარზე.
- როგორც ვატყობ თქვენი იღა არსალ სჩანს — წარმოსთქვა გერისონმა და საათს დახედა.
- ნუ სწუხდებით! პირობას გაძლევთ, რომ თქვენ უთუოდ ნახავთ დღეს ბ-ნ კარნიბუას — მიუვი ნოქარმა. ნებას მიბოძეთ რაიმე შეგთავაზოთ, ვიდრე ბატონი დაბრუნდ ება?
- სიამოვნებით, მხოლოდ არა ისეთი კონიაკი, რომლითაც მე იმ ავაზაქშა დამასაჩუქრა.
- ისიდორემ ჩამოდგა დაზღაზე ორი მოზრდილი ჭიქა, გახსნა ძვირფასი, ძველი კონიაკის ბოთლი და დასხა. დაზღა თითქმის ყალყაზე შედგა, მზათ იყო ისიდორეს გააფთრებით დასჯახებოდა, მაგრამ მრისხანე სტუმრის შიშით ვერა ბედავდა.
- თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონო ჩემო!
- გაგიმარჯოს ქაბუკო! — მშვენიერი კონიაკია! — დააყოლა გერისონმა.
- მე თქვენ უცეოესსაც მოგაროვეთ.



დააწვინა რა გახსნილი ბოთლი დაზღაზე, ისიდორე გაეშურა საუკეთესო კონიაკის მო-

სატანათ. ისევ იჯეთქა პრობეჭ და კელავ გაისმა გერისონის ტუჩების სიამოვნების წელა-პუნი. დაზეის ჭუჭრუტანიდან კი ძვირფასი სასმელი თავს ესხმის წამებულ ცოლ-ქმარს და მათი მოთმინების ფიალის ავსებს. დაზეა ისეოის ძლიერებით შეინძრა, რომ გერისონი მიხ-ვდა საიდუმლოებას.—ერთი შეხედეთ,—შეჰყვირა მან—ისინი დაზეის ქვეშ შემალულან!

დამალუა შეუძლებელი გახდა.


დაზეა გრიალით იატაპზე დაეცა და გარისონის წინაშე გააფთრებული ცოლ-ქმარი წამოიჭიმა.



— საზიზლარი! დასკუიელეს ცოლ-ქმარმა.

— თქვენ თითონ საზიზლრებო!—დაიღრიალა გერისონმა, მიიღო რა თავის თავზე ისი-დორესადმი შიძღვნილი ლანძღვა.

ის ეკვეთა ცოლ-ქმარს, როგორც გაცოფებული ხარი ტორეადორს. ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეგ საბედისწერო შეტაკება და თავ-პირის მტვრევა, თუ უცებ პოლი-ციელნი ორ გაჩენილიყვენ. გათიშვისა და დაშილმნების შემდეგ პოლიციისაკენ წაიყვანეს ყველა მომქმედნი პირნი ისიდორეს მიერ შექმნილი ფარსისა.



წაიყვანეს ყველა, გარდა თვით ავტორისა... ისიდორემ სამუდამოთ მიატოვა დუქანი სწორეთ იმ დროს, როცა დაზეა დაემხო. მაგრამ მოყვასთადმი თანაგრძნობით მუდამ აღსავ-სე იყო იმისი ნორჩი გული: სწორეთ მან მოიყვანა პოლიციელნი.

თარგმანი მშვაისისა.



პრემია

(გურიული ხიდისთავების)

ჩვენს ქვეყანაში იყო ერთი ქართველი „ურნალისტი“ წარმოიდგინეთ ჩვენი უმაღლურობა და საზოგადო მოღვაწისალმი გულგრილობა: ის თუ ურნალისტი იყო არავინ იკოდა. საბენინიეროდ, თვით ურნალისტისავე მეოხებით გაიგო მთელმა ქართველობამ, რომ მას ჰყოლია ქართველი ახალგაზრდა ურნალისტი — სანდრო ბაისოსშვილი. ბაისოსშვილი რასაცირველია ნამდვილი გვარი არ არის, არამედ ფსევდონიმია, მაგრამ განსევნებული ეგნატე ნინოშვილი, თვის ნაწერებით. იმდენი არაფერია რამდენიც მისი ფსევდონით.

ნინოშვილის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს გზა გაეხსნათ, აღვილი დარჩა პოეტობა, ბელეტრისტობა, პუბლიცისტობა, აქტოორობა, კრიტიკოსობა და სხვა. ვისაც დედა კი ყავს (ან ჰყოლია როდისმე,) და ამ დედას სახელი კი ჰქვია, მას ფსევდონიმიც მზათა აქვს და მეტი რადა საჭირო, — თავი და თავი ფსევდონიმია. ბაისო შეილიც აღბათ რომელიმე ნიჭიერი ურნალისტის ფსევდონიმია და ბარაქლა ქ-ნ ბაისოს რომ ქვეყანას ასეთი ნიჭიერი შეილი იჩუქა.

ოპ იმას მოგახსენებდით, სანდრო ბაისოშვილის ურნალისტობა არავინ იკოდა, მაგრამ ეს საიდუმლოება შემთხვევით გამომქვდა და აი როგორ მოხდა ეს ისტორიული ამბავი:

ერთ დღეს სანდრო თავის სოფლიდან ქალაქში ბრუნდებოდა. (ურნალისტი ამა სოფელში როგორ გაძლებს!) სოფლიდან ქალაქში სოფლის ნაბათები მოჰქონდა: ფელამუში, ჩურჩხელა, ხილი ხაჭაპური, ყურძენი და სხვა. ამასთანავე საჭიროა იკოდეთ, რომ ამ ომის დროს რკინის გზებზე ერთგვარი მხედრობა გაჩრდნენ. წინათ, როცა ჯვარისანთა ომი იყო, მაშინდელ მხედრებს ქართველები ჯვარისნებს ეძახდნენ რუსები კი „კრეტანოსცებს“ უწოდებდნენ. ახლანდელ მხედრებს რკინის გზის უანდარებმა „სპირტონოსცები“ უწოდეს, ეინადან მათი ერთი ადგილიდან მეორე ადგილის აკრძალული ხილი — სპირტი გადაქვთ. მხედარ კაცებს დედა კაცებმაც მიბაძეს, ამის გამო უანდრები გაუჩხრეკელს არავის არ სტოკებს. ხშირად

ორსული დედა კაციც კი „სპირტონოსცა“ ჰქონიათ... მაგრამ, ბევრჯერ მომხდარა, რომ ძუძუ მწოვარა ბავშვი სპირტით სავსე ტიკეორა აღმოჩენილა... ამის გამო აღილი გასაგებია, თუ რათ გაჩხრიკეს სანდრო ბაისოშვილის „გვადრუცა“ სანდროს თავის თავი დაჭრილი ეგონა და იმავე სადგურიდან აფრინა დეპეშა გაზეთებში: „შეიძურს ქართველი ურნალისტი სანდრო ბაისოშვილი, რომელიც იგზავნება საგუბერნიო ციხეშიო...“ სანდროს ბარგუში ვერც საეჭვო, და ვერც საჭირო ვერაფერი ნახეს და მეორე სადგურიდანვე უკვე გაანთვისუფლეს.

ამ დაჭრამ ბ-ნ ბაისოშვილს სახელი გაუთქვა; ვინც არ იცნობდა გაიცნა, ვინც ვერ აფასებდა დააფასა...

ერთხელ, და მალე, სანდრო ერთ დაბაში მოხვდა ნათესავებში: მოგეხსენებათ ახლა სოფლათ მამალთა გვალება. ერთ კაცზე ორი დიუუნი ქალი მოდის, ამიტომ სოფლათ ახალგაზრდა კაცის, და ისიც სხვა სოფლის, და მეტადრე ურნალისტის გაჩენა, დიდი ბენინიერება არის. მის გაცნობასა და პატივისცემას ყველა ცდილობს, სანდროც ხელი ხელ საგოგმანებელი შეიქმნა.

„მე წავყობი სანდროსაო,
ლამაზნა და სანდობსაო“

აღილინებდენ გასათხოვრები გირარაზე. ხაჭაპურების ჭამამ სანდროს მუცელი აუშალა, მაგრამ თავში ერთი გენიოსური აზრი მაინც მოუკიდა. მან გადასწყვიტა ეროვნული ხაჭაპურის სახელის მოხვეჭა. ამ მიზნით თავი მოუყარა გასათხოვარ ქალიშვილებს, რიცხვით 15.

ქალიშვილების წინაშე სანდრომ გრძნობიერი სიტყვა წირმოსთვეა, მან მოიგონა და ქებათა ქება უძღვნა ჩვენ ძველ ქალებს, რომელთაც იკოდენ მშევნიერი დარაიის ქსოვა, და კიდევ უფრო მშენიერი ხაჭაპურის ცხობა. აღნიშნა, რომ ახლანდელი ქალები ამ მხრივ ძველებს ჩამორჩნენ.. ხაჭარია აღსდგეს, ძველი ჩვენებური ეროვნული ხაჭაპური, პაპიროსის სითხე ცომით, და მტკაცელის სისქე ჩვილი ყველით გატენილი გაუმარჯოს მას, ვინც ყველაზე უკეთეს ხაჭაპურს გამოაცხობს..

ამის შემდეგ გაიმართა ბჭობა, თუ როგორ და რა გზით აღსდგეს ეროვნული ხაჭაპური. დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ისევ სანდროს

წინადადება... , მომავალ შაბათს დელექინის მოსცოლის შემდეგ კონსტანტინე მუსუსაძის სახლში 15 ქალიშვილმა უნდა მოიტანოს თავისი ხელით გამომცვარი თითო ხაჭაპური, იქვე მოუყრის თავს 15 ახალგაზრდას, რომლებიც სათოად იგემნ ხაჭაპურს, და რომლის მიერ გამომცვარი, ხაჭაპური იქნება ყველაზე უგემრიელესი, იმას მიცემა პრემიათ ვაჟების მიერ 15 მან ღირებული „პარარკა“...

ქალიშვილები დიდათ დაფაცურდენ... ექებენ ყველს, ფქვილს, კეცს, შეშის, მერდინს...

დილიქანიც მოვიდა. წერილებიც მიიღეს... კოსტანტინეს სახლი განათლებულია... გამოცხადდა მხოლოდ ექვსი ქალიშვილი... ექვსი ხაჭაპურით, ხაჭაპურები ექსპერტებმა სერიოზულათ მიიჩოვეს და პრემია კი შეაყოლეს...

ავყია.

ანგარიში

(ცხოვრების სურათი)

— ბატონო, ხურდა არა გვაქვს - უთხრა მე-დუქნებ ვასოს, როდესაც მან ნაყიდ სამ გირვანქა მსხალში სამ მანეთიანი გაუწოდა.

— მაშ რა ვქნა?

— როგორც თქვენი ნება! ხურდა კი არ არის.

— რა გერგება სულ?

— თოთხმეტი შაური და ორი კაპეკი.

— მოიცა... მოიცა... მგონი მაქვს ხურდა... არა... ერთი ათ-შაურიანი მქონია, ერთი ორშაურიანი და სამ-კაპეკიანი.

— ბატონო, მომეცით სამი მანეთი და ხურდას მოგართმევთ ორ-მანეთ ნახევარს, მერე კი ოცდა-ორი კაპეკი მომეცით.

— კარგი... იღე... ერთა... მერე სადა მაქვს ოცდა ორი კაპეკი? მოიცა, მოიცა, კაცო, რამდენი მოგეცი შენ?

— ათი შაური.

— მაშ კიდევ ათი შაური აიღე და ოცდა რვა კაპეკი მომეცი.

— ოცდა რვა კაპეკი რომ მქონიდა, ბატონო, ხომ მაგდონსაც აღარ გაწვალებდით.

— ფუი! მაშ რა ვქნა? ჰო, მოვიფიქრე... აპა, ეს ცამეტი კაპიკი.

— მერე რა გამოვა, ბატონო.

— იღე, აიღე. ვნახოთ იქნება გამოვიდეს რამე.

— კეთილი, ბატონო, მიბოძეთ.

— ეხლა რამდენი მხართებს?

— ცხრა კაპიკი.

— ჰე! ეს როგორდა მოგცე?

— არ ვიცი, ბატონო... თუ გნებავთ, კიდევ ერთი გირვანქა მსხალი წაიღეთ.

— ასწონე!.. მაშ ეხლა რამდენი გერგება.

— სულ ოცდა ცამეტი კაპიკი.

— ეს ერთი მანეთი... მომეცი ხურდა.

— ეხლა ხომ უარესი გამოვიდა, ბატონო! იქნებ კიდევ მოგეძებნებათ საღმე ხურდა.

— ოჳ, ოჳ! აჳ, საფულე! მაქვს ორი ათ-თუმნანი, ერთი ოცდა ხურთი და ორი თითო თითო მანეთიანი. ოჳ, ღავილალე.

— მანეთს ავიღებ.. მაშინ მე თქვენი მემართება, ჩემო ბატონო, ცამეტი შაური და ორი კაპეკი.

— ოჳ, ოჳ! მართალი ხარ!

— ესე იგი ათი შაური და ჩემდეტი კაპიკა... ეს თქვენი ათი შაური, ესეც... ფუ! აჳ გავატანე იმ ყურუმსალ ბიჭს თქვენი მოცემული ხურდა.

— ეხ!.. დაიჭი ოცდა ხურთიანი...

— რად მინდა, ბატონო!

— არ გინდა?.. შევინახამ!..

— მომეცი ისემე ის ათშაურიანი და გამოვასწორებ საქმეს... ეხლა მე თქვენი მმართებს... მე თქვენი მმართებს... რაღა?.. თქვენ ჩემი გმართებთ თოთხმეტი შაური და ორი კაპიკი, ესე იგი სამი გირვანქა მსხლის ფასი.

— კაცო, ხომ მოგეცი იმ მსხლის ფასი? ღმერთო ჩემო!..

— ოჳ ოჳ, უკაცრავად... ესე იგი მე მმართებს თქვენი ოთხი აბაზი და შვიდი კაპიკი.

— არა, შენ გმართებს ჩემი ათი შაური, ცამეტი კაპიკი და ერთი გირვანქა მსხლი.

— ბიჭო, აუწონე კიდევ ერთი გირვანქა მსხლი.

— არ მინდა, არ მინდა!.. ღმერთმა დამიფაროს მსხლისაგან.

— თქვენ ხომ მოითხოვეთ?..

— მომეცი, კაცო, ხურდა... მომეცი... და-
ვიღალე ამდენი ლაპარაკით.

— ემ წუთში, ბატონო, მაშ მე თქვენი მმარ-
თებს ორი აბაზი და სამი კაციყი. მომეცით კიდევ
მანეთიანი და გავასწორებ საქმეს.

— აჲა, აჲა, გაუმაძლარო! აჲა! — ვასომ თვისი
საფულე თავში ახალა მეღუქნეს — მომეცი ჩემი
ორი კაცეიყი, მომეცი ჩემი ხუთი შაური ხა! ხა!
ხა! ხა! ვასომ გული შეუწუხდა.

ი, რას ნიშნავს ბეჭრი ანგარიში!

გუგული

ეტერქავასთან

(დასასრული*)

VI

სტეფანე, არშაკა და გრიშა.

სტეფანე. (განცემით უბუღლ არშაკა) არშაკ, ეს
ინჩხაბარა!

არშაკა. ახია შეწევ. არა, შენ რომელი რევ-
მატიზმის დოხტრური ხარ რომ კანკებს უსინჯავ!

სტეფანე. ვა, მაშ ზომა არ ავიღო, კაცო!

არშაკა. ეე, ტუტუპ, ტუფლის ზომას უდებ,
თუ ჩულქის პადვიაზეას უკეთებ! არა, იმ კაბას
რომ უწევ ზევით-ზევით ვინ მოგიწონებს ერთი
მითხარი!

სტეფანე. არა, ეს ყურუმსალიც რაღა ეხლა
დაეტაკა! (შეუბუღლ გრიშას) უუ, სულ კბილები
უნდა დაგამტრიოს კაცმა!

გრიშა. (ტირილით) თითონ დამეტაკა და მე
რა უყო!

სტეფანე. (მიიწევს გრიშას და გაჭაურებით)
აი, შე უშნო, შენა!

გრიშა. (დრიალების) თითონ დამეტაკა და მე
რა უყო!

არშაკა. (სტეფანეს) მაგასთან რა გინდა კაცო!
ეს ორი ამოტოლა ვირები დავპენტა და მაგას რა
უნდა ექნა!

*) იხ. „ეშმაკ. მათრახ.“ № 44.

სტეფანე (ხაშის აკვირდება) ვა, ვა, რა ხაში,
კაცო, ერთი შახედე. აფსუსი არ არის ამისთანა
ჩლიქების დალუპვა! (შეუბუღლ გრიშას) უუ, შე
დოყლაბიავ, შენა!

გრიშა. (ტირილით) თითონ დამეტაკა და მე
რა უყო!

არშაკა. დაანებე, კაცო, თავი. მაგისი რა
ბრალია!

სტეფანე. მოკრიფე ეს ყველაფერი და მო-
სუფთავე აქაურობა.

გრიშა. (ასეუთავების ბუტისტით) მე ხომ არ
დავტაკებულვარ და!

სტეფანე. (არშაკას) მოდი არშაკ, მოდი ეს
ლვინო მაინც დავლიოთ ამ გაჯავრებულ გულზე.

არშაკა. (წასედის ამინებს) არ მინდა, ძმაო,
ლვინო. კიდევ რომ მოვარდეს ის ქაჯი ხომ დაგ-
ვიხეთქავს თავებს (მიდის).

სტეფანე. ერთი, არშაკ, ერთი.

არშაკა. (ქარებში) მოვალ, მოვალ, ღუქანს
მივხედავ და მოვალ ეხლავე.

სტეფანე. გელოდები აი!

არშაკა. არ უნდა ლაპარაკი, მოვალ რაღა
ვა! (გადის).

VII

სტეფანე, გრიშა, შემდეგ ავქსენტი.

სტეფანე. (დაზეს მოუქდება და სუამს ღვინოს.
თვეუბა და ძაღლი ეჭარება) ვა, რა ძაღლიან გამიჯავრ-
და ეს ჩვენი ბარბარე! მინისტრის ცოლებს ეარში-
უებიან და მე რომ ვიღაცა სლუქანეას გავეარშიყო
დიდი საქმეა ძაღლიან დაბრაწული ლოყები კი
აქეს იმ შეჩვენებულს იმასა. მაშ ეს იმის საღებავ-
ლო იყოს! (სუამს მერე ღულღუდით გრიშას) ბიქო,
რას აკეთებ შენ მანდ!

გრიშა. ტუფლება ვფხექავ.

სტეფანე. (შეუბუღლ გრიშას) მერე ვერ მორჩი აქა-
დის, შე ლაწირაკო, შენა!

გრიშა. არ იფხეკება ეს ვერანა და მე რა
უყო!

სტეფანე. (ძაღლი ერტვა და ღულღუდით) ხმა გა-
იქრება! (გედეღზე შეუბუღლ და სტეფანეს. გარგი მოვრა-
ლია).

გრიშა. ხაზეინ, რომ იძინებ მე რა უთხრა
მუშტრებსა!

სტეფანე. (ლუდღულით) ზავთრი, ზავთრი ბუ-
დიტ. (მიექინება და ჩატარა პაუზის შემდეგ შემოდის
კტერი.)

VIII

იგინივე და აცქენტი.

ავქსენტი. ხაზეინს სძინავს, ბოშო?

გრიშა. მე რა ვიცი, თვალები კი დახუჭა და!
ავქსენტი. ბოშო, ჩექმები მზათაა?

სტეფანე. (შეინიშება) ზავთრი, ზავთრი ბუ-
დიტ.

ავქსენტი. (გრიშა) ჰა, ზავთრიო! ბოშო,
თვრალია შენი ხაზეინი?

გრიშა. მე რა ვიცი, ამ ღვინოს, კი ძალიანა
ყლურქავდა და!

ავქსენტი. მეიტა, მეიტა, ბიძა, ჩექმებს სხვას
გავაკეთებიებ. არ მინდა თქვენი არაფერი.

გრიშა. მე საიდან მოგეც, მე რა ვიცი სად
არი!

ავქსენტი იმე, რაგა არ იცი! მე რომ ჩექმები
მევიტანე, ბოშო, გუშინ.

გრიშა ის ჩექმები ხაზეინმა სხვას ჩააცვა.

ავქსენტი. რაიო, ვის ჩააცვა, ბოშო, ვის?!

როგორ თუ ჩააცვა!

გრიშა. მე რა ვიცი, ეს არშავა კი აბრახუ-
ნებს იმ ჩექმებსა და!

ავქსენტი. (გაჭავრებული) არა, თქვენ რა პრაგა
გქონდათ, რომ ჩემი ჩექმები სხვას ჩააცვით!

გრიშა. მე რა ვიცი, ჩააცვა კი და!

ავქსენტი. მონახე ახლავე ჩემი ჩექმები და
მომიტანე, თვარა გიტირებთ ყოფას. არ მინდა
თქვენი გაკეთებული.

გრიშა. მე სად მოვნახო, არშავას ჩააცვა ხა-
ზეინმა და!

ავქსენტი. მეიტა ჩემი ჩექმები თქვა!

გრიშა. მე საიდ მოვიტანო! ეხლა აქ მოვა
არშავა და შენ გამოართვი.

ავქსენტი. (ძალიან გაჭავრებული) რაი არშავა,
ვისი არშავა, თქვენ რაზმონიკებო, თქვენა! მე-
ვიყვან ხაზეინს და ის გიტირებთ ყოფას! (გადის).

გრიშა. მე რას მიჯავრდები რა, მე ხომ არ

მაცვია ის შენი ჩექმები! (კუდისებიდან ისმის ელექტრ
სტანცია! შენ გენატებულ ნატრიუმი ეს ჩემოდან მატანი
მუშას სადგურზე და მეტ აგერ სტეფანესთან ბატინგები
მაქსი, ჩაც ცვალ და ახლავე მოგეწევი. ბილეთი ამიღვე არ
დაგვიწევდეს.) რა ბატინ კებიო! ნეტავი შენ იმ ბი-
ლეთს არ კარგავდე ის გირჩევნია. (შემოდის ელექტრი)

IX

გრიშა, სტეფანე და ელენე.

ელენე. (სამგზავროთ გამოწეობილია. შემოსულის-
თანავე დაჯდება იქვე შდგომი ჰირველ სპაზე და ფეხსა-
ცმელს იხდის) აბა, მოიტა შენ გაზდას ის ბატინ კე-
ბი. (იხდის.)

გრიშა. რა ბატინ კები, მე არ ვიცი!

ელენე. (ფეხსაცმლი) მაჩვენე როგორი გაკა-
თებულია.

გრიშა. რა გაჩვენო, ბატონო, მე არ ვიცი!

ელენე. დილას რომ ბატინ კები მოვიტანე,
როგორ არ გახსოვა!

გრიშა. შახსოვს ბატონო, მაგრამ ჯერ არც
კი დაუწყვია, (ძაღლებს სტეფანეს).

ელენე. (ძალიან გაჭავრებული) როგორ თუ არ
დაუწყვია?

გრიშა. (ანჭარეს სტეფანეს) ხაზეინ, პოლსა-
პოკებისა თხოულობენ.

სტეფანე. (ლუდღულით) ზავთრი ბუდიტ, ზა-
ვთრი.

ელენე. (განცემულებული) როგორ თუ ხვალეო!
რაღა ვენა ახლა, რა წყალში გადავარდე!

გრიშა. (ანჭარეს სტეფანეს) ხაზეინ, ხაზეინ!

სტეფანე. რა იყო, ბიჭო, რა ამბავია!

ელენე. როგორ თუ რა ამბავია! სად არის ჩე-
მი ბატინ კები?

სტეფანე (იდგიძეს, შაგრიშ გარეტანებულია)
იზენინიტე მაღამ დღეს ცოტა გადაპრუწულში ვარ
და ხვალ იქნება მზათ.

ელენე. (შეწერებული) ღმერთო ჩემო, რავენა
საით გადავარდე! მერე ეგ არის შენი პირობა, შე
უსინდისო შენი! (მათებულობების) თუუ, შეგანტევინა
ღმერთმა, შე ლოთო შენა! მომეცი ჩქარა ჩემი
ბატინ კები, არ მინდა შენი გაკეთებული.

სტეფანე. (ძალი ერება) მიეცი ბიჭო, მიეცი.
(მიეუუდება ბედულზე და იძინებს.)

ელენე. (იტევაშს ისევ მის მექ განდიდ ბატინგებს, სოლდ მეორე წევიღს ქადაღდში ახვევეს) ლერთო, რა ვენა, როგორ მომატყუილა ამ ლოთმა, ამ საზიზლარმა ამან! (სტეფანეს) გახსოვდეს შენ ეს ოინი და თუ ქალი ვარ გადაგიხდი სამაგიეროს. შე უზრდელო, შე მატყუარავ, შენა! თფუ, შენ კაცუობას! (საჩქართ გადის.)

გრიშა. (იღრიფებს) ჯერ ეს ცოტაა. მოვიდეს ეხლა ის ჩინონიერი რა დღეს დაყენებს ჩემს ხაზენს, მერე არშაკაც თუ შამოჩერჩეტდა იმ დროს! ვაიმე დედავ, რა ამბავი იქნება! (იცინის, ისმის ჭუდისებში ავქსენტის ხმა; აგა, ბატონი, იმ რაზბონიკ სტეფანეს დუქანი.)

X

გრიშა, სტეფანე, ავქსენტი და აპოლონი.

აპოლონი. (ხნიერი გაცაა. გუბერნატორის კანცელიას მოხელე. სიცივის ქანიან. თბილათაა ჩატუშული. ჟაფროს ზევიდნ შადი აქეს შერებზე მთხმელა. ჭოხა უჭირავს სედლში) არა, ვინ გამიბედა მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემების მოტაცება! (გრიშა საჩქართ ადგიძეს სტეფანეს) არა, ვინ გამიბედა მეთქი! (შემთდის) არა, შენა ბძანდები ვაუბატონო, ის ავაზაკი ჩემების რომ მტაცებ!

სტეფანე. (იღვიძებს, მაგრამ დაბიულია) რა... რა... ჩემები კნიაზ?

ავქსენტი. გუშინ რომ ჩემები მეგიტანე, რავა არ გახსოვს თუ?

აპოლონი. (ხმამაღლა) სად არის მეთქი ჩემი ჩემები? არა, როგორ მიტედავ მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემების მოტაცება!

სტეფანე. (დაბიულია) ვინ... ვინ მოგრაცა კნიაზ!

აპოლონი. გაჩუმდი მეთქი! მომეცი ჩქარა ჩემი ჩემები!

სტეფანე. ხვალ, ხვალ იქნება კნიაზ...

აპოლონი. (აწევეტინებს) არ მინდა შენი გაკეთებული. მომეცი ჩქარა ჩემი ჩემები, თორემ გავაციმბირებ შე ავაზაკო, შენა!

ავქსენტი. (გრიშას) მოახე, ბოშო, რას გაშტერებულხარ!

სტეფანე. ჰო მიართვი, ბიჭო, მიართვი.

გრიშა. მე რა მივართვა, ჩემები არშაკას არ ჩაცვი!

აპოლონი. (გავეირებული) როგორაო ვინ არ შაკაა! რომელი არშაკა? არა, როგორ გაბედე შე საძაგელო, შე სალახინავ, შენა!

სტეფანე. (შეშინებული) სტუუის კნიაზ, ბიჭმა რა იცის. მე... მე... მოგარომევთ. (ექცეს.)

გრიშა. რას ეძებ რაც არ არის!

სტეფანე. (გრიშას) ხმა გაიკმინდე!

აპოლონი. უყურეთ ამ მაიმუნს! ვიღაც საპოუნიერი მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემებისა მტაცებს!

ავქსენტი. მერე მაგისთანა გლახაკი, ბატონი გასალახია ღმერთმანი.

აპოლონი. გასალახი კი არა! ციმბირს გადავაცილებ. (სტეფანეს) ჩემები მეთქი ჩქარა!

სტეფანე. (ექცეს დაბიული) ეხლავე კნიაზ...

აპოლონი. არა, როგორ გამიბედე მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჰა! შენ ვინმე უბრალო მჯღაბნელი ხომ არა გგონიგარ!

სტეფანე. გავაკეთებ, ბატონი და ხვალ მოგართევ ჩემი ბიჭის ხელით.

აპოლონი. არ მინდა მეთქი შენი გაკეთებული, მომეცი ჩემი ჩემები!

XI

იგინივე, ბარბარე, დათა და შემდეგ არშაკა.

დათა. (ჩსუქებული და დანიერი იიჭია, შეუტავებული დამარავით შემთდის) ვინ არის, ვინ, ის გულადი ვაუკაც ერთი შემახედე.

აპოლონი. (რა დაინახვეს დათას და ბარბარეს ჩმას დაუდაბლებს. ბოდიშით ბარბარეს) უკაცრავათ, ცოტა ხმამაღლა ვლაპარაკობ, მაგრამ რა ვენა, ძალიან გამაჯავრა ამ პინიცამ ამინ. წარმოიდგინეთ ჩემები გამოუგზავნე გასაკეთებლათ და არამც თუ გაუკეთებია, ვიღაცა თხრისთვის ჩაუცმევია და გაუტანებია ამ უსინდისოს ამას! (სტეფანეზე აჩვენებს.)

ბარბარე. უი, ღმერთო მომკალი! ეგეც მე ვარ! წარმოიდგინეთ, ბატონი, თქვენზე უარესი დღე მე დამაყენა მაგ სასიკედილემ, მაგან!

აპოლონი. (სტეფანე) მომეცი მეთქი ჩემი ჩემები!

სტეფანე. მო... მო... მოგართმევთ.

დათა. (რომელიც აქაშდას თვალების ბრიალით უკურნებდა სტეფანეს, უცემ მიგარდება) შენ ხარ ის გულადი ვაჟაცი!

სტეფანე. (შეშინებული) მე... მე...

დათა. (სტეფანეს იმედავები) არა, როგორ გაბედე შენ ღის გალანძლვა, შე მაიმუნო შენა!

სტეფანე. (შიშით მოგუნტება) არა, მე... მე... ზომას უღებდი.

ბარბარე. (მიგარდება) შერე, შე სასიკვდილევ, ტუფლის ზომას იღებდი, თუ კანჭისას!

დათა. (ბარბარეს გადაედობება) შენ დამაცადე ამას მე გაუსწორდები. (სტეფანეს) მაშ ქალებთან ხარ რაღა ვაჟაცი? აბა ერთი ვნახოთ როგორი ზომის აღება იცი! (მიგარდება, შემოჭერას სტეფანეს და წარმართაცების). მისცვავდებან ბარბარე, ამთაღონ და ავჭინტი, სუკელანი სცემენ. სტეფანე უვირის: მიშვეუყეო, მიშვეუეეთ!)

აპოლონი. სად არის ჩემი ჩექმები სად!

ბარბარე. უი, შე სასიკვდილევ, შე სალიახანავ, შენა!

ავქსენტი. აგიც შენ, შე გლახისჭირო, შენა!

დათა. აი, ასე უნდა ზომის აღება! (სუმველანი სცემენ)

გრიშა. (შეშინებული უვირის) ვაიმე დედავ, მიშველეეთ! (სტეფანე გაუსხლტებათ ხელიდან და მირბის ქარებისებენ, მაგრამ უეცრათ შეეფეოება კარებში მომავალს არშავას და ერთმანეთს დაუტანებიან. არშავა ძალიან სიმთვრალის გამო წაიქცევა და ბობდავს იატაზე. სტეფანე გამორბის.)

ავქსენტი. (არშავას ფეხებზე დაინახავს თავის ჩა-ზენის ჩექმებს) ა, ბატონო თქვენი ჩექმები!

აპოლონი. (მიგარდება არშავას) აი, შე ყაჩალო, შენა!

ბარბარე. (დათას) ეგეც იმის ამგანაგია ეკ სა-სიკვდილე ეგა! (სუმველანი მისცვივდებიან არშავას)

აპოლონი. (ფეხებზე ჭოხს ურტეავს) გაიხადე მე-თქი ჩემი ჩექმები!

არშავა. (მუშტებს იქნებს) იქით!

ბარბარე. უი, შე სასიკვდილევ, შენ ხომ გრგ-დე ხელში!

ავქსენტი. გეიძვრე ჩეარა ჩექმები, თვარა მევი-და სისხლი.

არშავა. იქით! (უკელანი დაებოდა უჭებიან არშავას და სცენის წინა პლანზე გამოათრევენ, ზოგი ხელებს უჭერს, ზოგი სცემს. ერთი სიტევით ერთი მეთრის დახმარებით ძალითა ხდიან არშავას ჩექმებს. არშავა პირებათ უძლა-იანდება, მაგრამ ვერას ხდება დაუეხმაშველი, იატაზე დაგდებული უვირის) მიშველეთ, პრისტავ, იყალოშ-ნეკ, დვორნიკ, გარადავლი!

აპოლონი. (ჩექმებს ურტეავს არშავას) ჰე, ეგიც შენ, შე რაზმოანიკ შენა,!

გრიშა. (არშავა დრიალებს, რადგან სუმველანი მას ესუგიან და სცემენ. გრიშა კუთხეში მოგუნტული სდგას შიშით და დრიალებს) ვაიმე, დედილო!

ფარდა.



გულდათუთქული კნ. მარიამ რევაზის ასული ზურგიელიძისა, უზომოდ
დამწუხხებული ასტაცნიი პორუჩიკი მარკოზ ზურაბის ძე თ-დი ზურგიე-
ლიძე, პრაპორშჩიკები: ვარდენ, რეზო, ქაიხოსრო, მოწყალების დანი: თა-
მარა, ცუცა, მაკო და ლიზო ზურგიელიძენი; გულმოკლული პოდრია-
ჩიკი ივანე ხარაძე; ტაბელჩიკი როსტომ ცხვარაძე; თინათინა, ფეფო,
პრაპორშჩიკი მიშა, კუუნია, ცუცუნია, ცუცუკია, ლეო და დავით კი-
ბოშვილები; ზაზულია, ღულუ, მარიკა, ბაკო, წიპუნია, კუჭია, კუჭია,
ვარდო, ელენიჩა, ლუბოჩა და მაკარი (პრაპ.) ცხვარაძენი; ტყლაპის
ფოდრაჩიკი პეტრე კურტანაძე; ვალიკო, ბეჭან, სიღონია, უნტერ-ოფი-
ცერი მათე, ზოსიმე, ხვარამშე ქატოშვილები; მსახიობი სიმონ, ვაჭარი
კოსტა და ნინიჩა ჩხილვაძეები; თომა, კეკე, ტატო, ატატო, უურნალის-
ტი სოსო, პრაპ. ლევან, ზაზა და მიტუშა ქარიანიძენი; პრაპ. ლუტუ-
ნია, კეკელა, ლიდიჩა, სათხოების და სონიჩა, აკუშერკა ანეტა, მარუ-
სია, კეტუსია, თოკუნია, პრაპორშჩიკები პაპუნა და იორამ პლუტიევები;
მფეთებელი ჭიშიკო და პრ. ზამბაურები; რემონტის მუშები ბესო, ზაქა-
რია, პარმენ, ვარდენ, ქსენია, ქეთინა, პრაპ. ტიტე; მარუშა; ინტენ-
დანტის მოსამსახურე ფრიდონ და ტაბელჩიკი ლუკა ზაზიშვილები. ვი-
როვან ტრანსპორტის ხელმძღვანელი თომა მუტრუკაძე და შოფერი მი-
რიან მარცხიერე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ურიცხვ პატივისმცე-
მელთ, რომ კვირას, 13 ნოემბერს, დანიშნულია

წლის წირვა ახლად განსვენებულის ქართველი ერის დიდების,

მ გ თ ს ნ ი ს

სოლომონ ზურაბის ქი

ზურაბი გილი ი მ ი ს

ცერის მოსახლეობრივი.

ვინაიდან სიტყვის წარმოთქმის მსურველი ერთობ ბევრია, ამიტომ დრო
თითოეული სიტყვისა განისაზღვრა ვ საათით.